

## პირველი მატჩი, პირველი ქულა

თბილისი. "დინამოს" სტადიონი. 19 აპრილი.

"დინამო (თბილისი) - "სპარტაკი" (მოსკოვი) 1:1 (1:0).

"სპარტაკი": ივაკონი, კრუტიკოვი, მასლიონკინი, სოლდატოვი, ჩისტიაკოვი (პარამონოვი), ნეტო, მოზერი, ისაევი, სიმონიანი, სალნიკოვი, ილინი.

"დინამო": კვაჭაძე, ელოშვილი, ჩოხელი, ხოჭოლავა, კოტრიკაძე, სიჭინავა ჭკუასელი, ღოღობერიძე, კალოევი, იამანიძე, მესხი.

მსაჯი პ. ბელოვი (ლენინგრადი).

დასავლეთ ტრიბუნის წინ მწვრივად მოეწყვნენ 1959 წლის ჩემპიონატის პირველი მატჩის მონაწილენი "სპარტაკი" (მოსკოვი) და "დინამო" (თბილისი).

ფეხბურთელებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ი. ბოჭორიძემ. გუნდების კაპიტნებმა ნ. სიმონიანმა და ა. ღოღობერიძემ აღმართეს გათამაშების დროშა. თამაში დაიწყო.

პირველი მატჩი. იგი ყოველთვის თავისებური დაძაბულობითა და ნერვიულობით ხასიათდება. საფეხბურთო სტარტს მუდამ თან სდევს მოულოდნელობანი, შეცდომები, მოთამაშეთა ნაწილი არა ფორმაში, ღელავს და ყოველთვის ზუსტად ვერ ასრულებს საერთო გეგმით გათვალისწინებულ პუნქტებს, ან თავის თავზე ვერ იღებს სარისკო ინიციატივას.

ეს სასტარტო "ციებ-ცხელება" ეტყობოდა აღნიშნულ მატჩსაც. ჯერ კიდევ დასაწყისში დაკარგულ იქნა რამდენიმე გადაცემა სავსებით მარტივ სიტუაციაში და შემდგომში ეს ცხადად იგრძნობოდა მთელი თამაშის მსვლელობაში. თვით "სპარტაკიც" კი, რომელიც ცნობილია თავისი უაღრესი სიზუსტით კომბინაციურ თამაშში, შეუცდომელი მრავალსვლიანი მოკლე გადაცემებით, სისტემატურად სცოდავდა ამ დღეს და აბარებდა ბურთს მოწინააღმდეგებს.

მატჩი არ გამოირჩეოდა გარეგნული სილამაზით. ორივე გუნდი თავისი შეცდომის გამოსწორებაზე უფრო ზრუნავდა, ვიდრე მოწინააღმდეგის შეცდომის გამოყენებაზე. ფეხბურთელებს აშკარად "არ ყოფნიდათ" დრო ბურთის დასამუშავებლად, მაგრამ შინაგანი დაძაბულობა და სიმწვავე აშკარად იგრძნობოდა. ჩემპიონმა მთელი თავისი ძალებით, მაქსიმალური ენერგიით ითამაშა და მაინც თბილისელები გაცილებით ახლოს იდგნენ გამარჯვებასთან, ვიდრე მათი მოწინააღმდეგები, ვინაიდან კალოევს, ჭკუასელსა და კოტრიკაძეს სრულიად თავისუფლად შეეძლოთ "სპარტაკის" კარის აღება.

დიდი სარგებელი მოუტანა თბილისის "დინამოს" მისი "ლტოლვილი" წევრის ზ. კალოევის დაბრუნებამ. გარდა იმისა, რომ ახლა შესაძლებელია მინდვრის შუაგულში ან ფლანგზე გათამაშებული კომბინაციის ცენტრში დამთავრება მაღალი ბურთით, კალოევი თვითონ უნარიანად ანაწილებს ბურთებს თავდასხმაში და ასრულებს გადამწყვეტ დარტყმებს.

დინამოელთა საერთო სქემაში კვლავ ჩანდა შარშანდელი ნაკლი - ცალმხრივობა. თავდასხმა ხშირად ივიწყებს მარცხენა ფრთას და გამოთიშული ჰყავს

იგი ზოგჯერ 10-12 წუთითაც კი, რაც მოპირდაპირე დაცვას სათანადო გადაჯგუფების საშუალებას აძლევს, თავის მხრივ, არც მესხი ცდილობს მონაწილეობა მიიღოს ადგილების ცვლაში, გაიყვანოს მცველი ცენტრში. როგორც ტაქტიკური ერთეული, იგი ამ დღეს ძალზე უფერული იყო.

ანგარიში 29-ე წუთზე გახსნა კალოევმა. იგი თავით მისწვდა მესხის მიერ მოწოდებულ მაღალ ბურთს და ზუსტად გაგზავნა იგი კარში სწორედ მაშინ, როცა იქ ივაკინი აღარ იყო.

საპასუხო გოლი “სპარტაკმა” გაიტანა 66-ე წუთზე. ნეტო კარგა ხანს ყარაულობდა ხელსაყრელ გადაცემას თბილისელთა კართან და ასეთი ბურთი მიიღო კიდევ მოზერისაგან - 1:1.

პირველმა მატჩმა პირველი ქულა მოუტანა თბილისის “დინამოს” მოსკოვის “სპარტაკთან” შეხვედრაში. მაგრამ მას შეეძლო სრული “კომპლექტიც” მოეცა - 2 ქულა. დასაწყისი შეიძლება დამაკმაყოფილებლად მივიჩნიოთ, მაგრამ მხოლოდ იმ დათმობით, რომ ეს იყო ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი და თასის მფლობელი. წინა მთელი გათამაშება, სადაც გუნდმა მხოლოდ ერთი დევიზით უნდა იმოქმედოს: გამარჯვება!

ბ. ქორქია

“ლელო”, 21 აპრილი, 1959 წ.

დამატებითი მონაცემები “სოვეტსკი სპორტიდან”